სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორის ბრძანება № 01-04/47

ქ. ქუთაისი

25 ივნისი 2019 წ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რიგ ფაკულტეტებზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რიგ ფაკულტეტზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესაბამისი კონკურსი (<u>დანართი თან ერთვის</u>).
2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რიგ ფაკულტეტებზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად საკონკურსო პირობები, კერძოდ, კონკურსანტის განცხადების ფორმა, კონკურსანტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა, სარეგისტრაციო და საკონკურსო კომისიების მუშაობის პროცედურები, შერჩევის კრიტერიუმები და კონკურსთან დაკავშირებული სხვა პირობები განსაზღვრულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდებით, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კონკურსის წესით შერჩევის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის № 111 (17/18) დადგენილებით (კონკურსანტებმა იხელმძღვანელონ აღნიშნული დადგენილებით და ამ ბრძანებით).

3. საკონკურსო დოკუმენტების (საბუთების) მიღება განხორციელდეს 2019 წლის 24 ივლისიდან 2019 წლის 27 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო დოკუმენტების (საბუთების) მიღება იწარმოებს ყოველდღიურად 09:00 საათიდან - 17:00 საათამდე (უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით) შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, პირველი სართული. ოთახი № 1107.
4. კონკურსი ჩატარდეს 2019 წლის 28 ივლისიდან 2019 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით (მათ შორის, 31 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით - გასაუბრება). გასაუბრება ჩატარდება. უნივერსიტეტის კორპუსებში.
5. სააპელაციო განცხადებების მიღება იწარმოებს 2019 წლის 2 აგვისტოდან 4 აგვისტოს ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, პირველი სართული. ოთახი № 1107.
6. ამ ბრძანებით განსაზღვრულ აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსით შერჩეულ პირებთან გაფორმდეს ვადიანი ხელშეკრულებები. კერძოდ:
   ა) პროფესორი - 6 წლის ვადით, 2019 წლის 1 სექტემბრიდან 2025 წლის 1 სექტემბრამდე;
   ბ) ასისტენტ-პროფესორი 4 წლის ვადით, 2019 წლის 1 სექტემბრიდან 2023 წლის 1 სექტემბრამდე;
7. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გაზეთში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
8. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტირებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა ეს ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. გაზეთ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს რედაქციამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გამოქვეყნება გაზეთში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი **პროფ. როლანდ კოპალიანი**

ვაკანტური აკადემიური თანამდებობების ჩამონათვალი

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა

მიმართულება - ეკონომიკა

ა) პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი

მიმართულება - ელექტრული ინჟინერია

ქვემიმართულება - ბიოსამედიცინო ელექტრონიკა

1) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

ქვემიმართულება - ტელეკომუნიკაცია

1) ასისტენტ-პროფესორი (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული